



# „ის, რაც ხდება უკრაინაში რუსების მიერ, ასეთი რამ ფაშისტებსაც არ გაუკეთებიათ“...


ხარება ქრისტიანულ ეკლესიაში ერთ-ერთი საუფლო უძრავი დღესასწაულია. ლუკას სახარების მიხედვით, გაბრიელ მთავარანგელოზმა მარიამ ღვთისმშობელს ახარა, რომ იგი შობდა იესო ქრისტეს, ძეს ღვთისას.

ქრისტოლოგიაში ხარების დღესასწაული ითვლება კაცობრიობის ხსნის დასაწყისად, საუკუნეების განმავლობაში დაფარული ღვთის საიდუმლოს გამოცხადებად.

7 აპრილს, ოზურგეთის საკათედრო ტაძარში საღვთისმშობლის წირვა აღავლინა შემოქმედელმა მიტროპოლიტმა, **მეუფე იოსებმა**.

მან საზეიმო ლიტურგიის დასრულების შემდეგ თავის ქადაგებაში განაცხადა (გთავაზობთ ამონარიდს ამ ქადაგებიდან):

—არ შეიძლება არ გამოვხატო ის აღშფოთება, რასაც რუსეთი





# ა ლ ი ო ნ ი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ე ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი    გ ა ზ ე თ ი .  
 ყოველკვირეული გამოშვება.    № 8 (10420) 11 აპრილი, 2022 წ.    ფასი 80 თეთრი.

## გურიაში მიკრო და მცირე ბიზნესების ხელშეწყობის მიზნით ბიზნესების მასშტაბური თანადაფინანსება განხორციელდება



ევროკავშირის „საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში გურიაში მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის მიზნით მეწარმეების მასშტაბური თანადაფინანსება განხორციელდება.

აღნიშნული პროგრამის შესახებ ინფორმაცია ადგილობრივ მეწარმეებს ოზურგეთში გამართულ შეხვედრაზე საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონული და მთის განვითარების დეპარტამენტის უფროსმა გიორგი დიდიძემ, სააგენტოს „აწა-

რმოე საქართველოში“ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა **ლამა ბოსტაშვილმა** და სოფლის დირექტორმა **ილია თამარაშვილმა** მიაწოდეს. შეხვედრას გურიაში სახელმწიფო რწმუნებული **გიორგი ურუშაძე** მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელ პირებთან ერთად დაესწრო.

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში სოფლის განვითარების სააგენტოს ეგიდით მცირე



## საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში გურიაში GITA-ს საბრანტო პროგრამების გამარჯვებულები ცნობილია



**ალიონი.** საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს 30 000 ლარიანი და 100 000 ლარიანი საგრანტო პროგრამების გამარჯვებულები რეგიონში 8 აპრილს გამოვლინდა.

ღონისძიებას გურიაში სახელმწიფო რწმუნებული **გიორგი ურუშაძე**, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე **არჩილ თალაკვაძე**, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი **აფთანდილ თალაკვაძე** და ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია** დაესწრნენ.

—ქვეყანაში უნდა ჩამოყალიბდეს ბიზნესის ახალი თაობა, რაც ნიშნავს ინოვაციური

პროექტების დაფინანსებას, ახალი ტექნოლოგიების შემოტანას – აღნიშნა არჩილ თალაკვაძემ.

პროგრამა ევროკავშირის საგრანტო დაფინანსებით ხორციელდება.

გურიაში 100 000 ლარიანი საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტები გახლავთ:

- **GOODTOURS** – ეკოლოგიურად სუფთა, ენერგოდამზოგავი ფერმა რანჩოს აშენება და მასში ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა.
- **PV Greenhouse – SO-LAGRO** (ხიდისთავი, ჩოხატაური) – პირველი ფოტოელექტრული სათბური საქართვე-

ლოში, რომელიც ერთ კონკრეტულ მიწის ნაკვეთზე მოიყვანს როგორც აგრო პროდუქციას, ასევე აწარმოებს და გაყიდის ელექტროენერგიას.

30 000 ლარიანი საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტები გახლავთ:

- ლინენის აპარატი (ოზურგეთი) თანამედროვე ტექნოლოგიებით შექმნილი ლინენის აპარატი, რომლის პირველი საცდელი პროტოტიპი ოზურგეთის ტექნოპარკის ფაბლაში შეიქმნა.
- რეციკლირებაზე დაფუძნებული ეკონომიკა – 3D საამქრო – (ოზურგეთი) – ქალაქ ოზურგეთში ნარჩენების გადა-

მუშავების შედეგად შეიქმნება მაღალი კომერციული ზრდის პოტენციალის მქონე პროდუქტები, რომელსაც სამშენებლო თემატიკა, ინტერიერისა და ექსტერიერის დიზაინი აერთიანებთ.

— ჩვენი რანჩო, შეკვეთილში, ცნობილი პარკის მიმდებარედ განთავსდება. პროექტში ორნი ვართ: დავით ლოლუა და იოსებ მჭედლიშვილი, სპეციალობით ორთავე ფიზიკოსები, თუმცა ამჟამად ბიზნესში ჩავერთეთ. ჩვენს რანჩოში ეკოლოგიურად სუფთა სოკო შამინიონს მოვიყვანთ – გვითხრა იოსებ მჭედლიშვილმა.

### გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

— მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;  
— მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა — 150-150 ლარი;  
— 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;  
— ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;  
— შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.  
— პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;  
— მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;  
— სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;  
— გახსენება, ნეკროლოგი — სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საჯალო ფასი: 60 თეთრი,  
ხელმოწერა:  
ერთი თვით — 2,40 ლარი,  
სამი თვით — 7,20 ლარი,  
6 თვით — 14,40 ლარი,  
ერთი წლით — 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

**სარეკლამო კომპანია**  
რედაქციური  
**ნუგზარ ასათიანი**  
nugzarasatiani15@gmail.com  
558 499100  
კომპიუტერული უზრუნველყოფა  
ვიორგი გოგოლაძე  
gia\_77@mail.ru  
551 576060  
რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3  
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311  
გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“  
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი  
მიზნობრივი აქცია  
«ალიონით»

## „ის, რაც ხდება უკრაინაში რუსების მიერ, ასეთი რამ ფაშისტებსაც არ გაუკეთებიათ“...

სწადის არა მარტო უკრაინის, არამედ კაცობრიობის წინაშე. ასეთი რამ ფაშისტებსაც კი არ გაუკეთებიათ. სამწუხარო ამბავია — მართლმადიდებელი ქვეყანა ებრძვის მართლმადიდებელ ქვეყანას. ამ ომს ეწირება უდანაშაულო ადამიანები, ცოდვილები კი ხეირობენ. რუსებმა ჩვენც წაგვართვეს ტერიტორიები — რაში სჭირდებათ ეს მიწები? არ ჰყოფნით ტერიტორიები? ეს ამბიციებია, ფანატიზმი, ეს იდეოლოგია — ეს ომი ამ ადამიანებმა წამოიწყეს. აპოკალიფსში (იოანეს გამოცხადება) წერია: გოგი და მაგოვი აღსდგეს იერუსალიმის წინააღმდეგ, დაიწყებენ ომს, იძულებით შემოიერთებენ ერებს. 7 წელიწადში იარაღს იხმარენ


ვინ იყო გოგი და მაგოვი? ანდრია პისარეელი წერს, რომ გოგი და მაგოვი ჩრდილოეთის ხალხი — რუსეთია, ხოლო იერუსალიმი კი მართლმადიდებელი ეკლესია. გოგი და მაგოვი დამარცხდებიან. როგორ დავიზღვიოთ თავი? როგორ გადავრჩეთ ამ საშინელებსაგან? სოფელს უნდა დაუბრუნდეთ. მამაპაპისეული კერა ააღორძინეთ. მე არ ვწინასწარმეტყველებ, მაგრამ ვხედავთ კაცობრიობა მიდის აღსასრულისკენ. დღერთი არ მიგვატოვებს, მაგრამ ძალიან უნდა გავფრთხილდეთ, რადგან ურთულესი მდგომარეობა მოდის — თქვა თავის ქადაგებაში მუჟე იოსებმა.

## სოფელ ჩხაკაურაში უკრაინიდან ჩამოსულ ოჯახს ეხმარებიან

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი დავით შარაშიძე, საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი კუჭავა, თვითმმართველობის სხვა ხელმძღვანელი პირები და პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის — ვასილ ჩივოგიძის ბიუროს წარმომადგენლები სოფელ ჩხაკაურაში უკრაინიდან ჩამოსულ ოჯახს ეხმარებიან და საჩუქრები გადასცეს.

ირემამები 15 წელი ცხოვრობდნენ ლუგანსკის ოლქში და საომარი მოქმედებების გამო იძულებულნი გახდნენ, მშობლიურ სოფელს დაბრუნებოდნენ.

მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა აქტიურად ჩაერთო ოჯახის ადაპტაციისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში.



## სოფლებში უმცვედრები ბრძედება



„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში დაბა ნარუჯაში, დაბა ლაითურში, სოფელ ბაილეთში, ჯუმათსა და სილაურში მოსახლეობასთან შეხვედრა გაიმართა.

საკონსულტაციო შეხვედრებზე, ადგილობრივებმა გარე განათების, ხიდების, მილხიდების, სანიაღვრე არხების, ამბულატორიის, შიდა სასოფლო გზების, მოსაცდელის, სკვერების, სპორ-

ტული მოედნების, საბავშვო ბაღების ეზოს მოწყობას, ატრაქციონების რეაბილიტაციასა და სასაფლაოს შემოღობვას მიანიჭა პრიორიტეტი.

ოზურგეთის მერის მოადგილემ ნიკა ბოლქვაძემ, სოფლის დეპუტატებთან და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან ერთად, არსებული გამოწვევები და საჭიროებები თანამოქალაქეებისგან მოისმინა.

## ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების კალისხეობით სუფსაში სტიქიით დაზარალებულ ოჯახს ახალი სახლი აუშენეს



გურიაში სახელმწიფო რწმუნებული ვიორგი ურუშაძე, მოადგილესთან ზაზა შოშიტაიშვილთან და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერთან ალექსანდრე სარიშვილთან და სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად სოფელ სუფსაში სტიქიით დაზარალებულ ოჯახს ესტუმრა.

„საქართველოს მთავრობა მუდმივად ზრუნავს თავისი მოქალაქეების კეთილდღეობაზე, რისი დასტურიც განსაკუთრებით მანანა ჯგუფიშვილის შემთხვევა, რომელსაც რამდენიმე თვის წინ მეხის დაცემის შედეგად სრულად დაეწვა საცხოვრებელი სახლი. ხელისუ-

ფლებამ მყისიერი რეაგირება მოახდინა: გამოიყო შესაბამისი თანხები და დღეს უკვე ქალბატონ მანანას აქვს შესაძლებლობა იცხოვროს ახალ სახლში, რომელიც მუნიციპალიტეტის ჩართულობით აშენდა“.

— აღნიშნა ვიორგი ურუშაძე. 2021 წლის 23 სექტემბერს მანანა ჯგუფიშვილის საცხოვრებელი სახლი მეხის დაცემის შედეგად გაჩენილი ხანძრისგან დაიწვა. საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, ახალი სახლის ასაშენებლად, სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში 93 078 ლარი გამოიყო.

## გურიაში მიკრო და მცირე ბიზნესების ხელშეწყობის მიზნით ბიზნესების გაქონების თანადაფინანსება განხორციელდება

და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით დაფინანსდება ახალი საწარმოების შექმნა, არსებული საწარმოების გაფართოება ან გადაიარაღება.

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ნებისმიერ სრულწლოვან მოქალაქეს, როგორც მეწარმე სუბიექტს, გარდა აღნიშნული პრო-

გრამის 2020 წლის გამარჯვებული და 2015-2018 წლების არაუმეტეს ერთხელ უკვე დაფინანსებული ბენეფიციარებისა. პროგრამის ფარგლებში 300-ზე მეტი ეკონომიკური საქმიანობის დაფინანსება შესაძლებელია.

<https://www.enterprisegeorgia.gov/ge/.../Busi.../micro-grants>

## ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს 6 ნაგავზიდი და 500 ერთეული კონტინერები გადაეცა



რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს 6 ნაგავზიდი და 500 ერთეული კონტინერი გადაეცა.

კონტინერები თითქმის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში გადანაწილდა.

ა(ა)იპ „კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის“ თანამშრო-

მლებთან ერთად ადგილზე ლანჩხუთის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე და მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი იმყოფებოდნენ.

„...დღეს მნიშვნელოვანი დღეა, დამატებით 6 ნაგავზიდი მოემსახურება მუნიციპალიტეტს. აღნიშნული პროექტი ხელს შეუწყობს ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნას“ — განაცხადა ბესიკ ტაბიძემ.

# „ჩვენი თვითმიზანი უენიშვნების დაფიქსირება არ არის“



**ალიონი.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგარეში სხდომაზე, საინტერესო წინადადებები დააყენა ფრაქცია „საქართველოსათვის“ თავმჯდომარე ალექო ბურჭულაძემ:

– უპირველეს ყოვლისა მინდა გამოვხატო ჩვენი მხარდაჭერა უკრაინელი ერის მიმართ.

უკრაინაში დაწყებულმა ომმა, რუსეთის ფედერაციის მიერ სუვერენული ქვეყნის ოკუპაციის მცდელობამ, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, კიდევ ერთხელ დაგვანახა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ერის ერთიანობა, რომელიც თავდაუზოგავად იბრძვის საკუთარი სამშობლოს დასაცავად!

ჩვენ ვაგრძელებთ გაცემული დაპირებების შესრულებას, ანუ ვგულისხმობთ პრობლემების იდენტიფიცირებას და რაც მთავარია გუმშობობ

მათ მოვარებაზე. სამწუხაროდ პრობლემები ვერ კიდევ ძალიან ბევრია.

ჩვენი თვითმიზანი უენიშვნების დაფიქსირება არ არის, ჩვენი წინადადებები, გაჟღერებული საკრებულოს სხდომაზე თუ სხვა სამუშაო ფორმატში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოქალაქეების კონსოციური, სოციალური, ინფრასტრუქტურული და სხვა საჭიროებებიდან გამომდინარეობს.

**შუშ პირამი.**

ჩვენი ფრაქციის მომართვის საფუძველზე საკრებულომ ცნობად მიიღო და იმედა აქტიურად დაეიწყო მუშაობას შუშ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციისა და სოციალური დახმარების სრულყოფის ღონისძიებების გასატარებლად. საქველმოქმედო ფონდთან გაფორმდა მემორანდუმი, რომელიც სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის პრო-

გრამის მხარდაჭერას ითვალისწინებს. სოციალური დახმარების გაცემის წესში შევიდა ცვლილება, რაც ნამდვილად კარგია. ერთ ადამიანსაც რომ დავეხმაროთ, რა თქმა უნდა მისასალმებელია, მაგრამ ყველა ამ სერვისების მიღება შესაძლებელია მხოლოდ სხვადასხვა ქალაქებში და არა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში.

საქართველოში ფუნქციონირებს საქმიან მალაკალიფიციური სამედიცინო ცენტრი, რომელიც მომსახურებას უწევს შუშ პირებს. მათი სპონსორია პოლინეთის, იაპონიის, იტალიის საელჩოები საქართველოში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ შესაძლებელია „კამილიელთა სამედიცინო ცენტრის“ ფილიალების გახსნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში. ანალოგიური ცენტრის მშენებლობა ახლანდელ დროს დასრულდა სამცხე-ჯავახეთში. ჩვენს კოლეგას ჰქონდა საუბარი კამილიელთა ცენტრის დირექტორთან კობა კაბონიძესთან, რომელმაც ცენტრის ხელმძღვანელობის სახელით გამოთქვა სურვილი და მზაობა თანამშრომლობისათვის.

აღნიშნული პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ჩართულობა, მხარდაჭერა და თანამონაწილეობა, რაც შეიძლება გამოიხატოს შესაბამისი შენობის გამოყოფით, ხოლო ფინანსურ დატვირთვას თავის თავზე აიღებს აღნიშნული სამედიცინო ცენტრი.

**სასმელი ფყლის და**

**საკანალიზაციო სისტემის პრობლემა**

სასმელი წყლის პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერიამ გააჟღერა, რომ სამუშაოები მიმდინარეობს და გრძელდება რიგ სოფლებსა და ქალაქის ტერიტორიაზე, რაზედაც 7,5 მილიონი ლარი დაიხარჯება. წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია 2024 წლისათვის დასრულდება და გვექნება 24-საათიანი წყალმომარაგება ალბათ, იმიტომ რომ ბოლო 15 წლის მანძილზე არაერთი 7,5 მილიონი ლარი დაიხარჯა. იქ, სადაც წესით დასრულდა სარეაბილიტაციო სამუშაოები და განხორციელდა ამრიცხველიანება, მოსახლეობას წყალი მაინც გრაფიკით მიეწოდება.

არსებობს მეორე თემა, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტისათვის. ეს განსაკუთრებით ოზურგეთის საკანალიზაციო სისტემის პრობლემა.

ოზურგეთის ცენტრალური საკანალიზაციო ქსელი ტერიტორიულად ფარავს დასახლებული ტერიტორიის მხოლოდ 1/3. ქსელში ჩართულია ქალაქში მცხოვრები 7 083 ოჯახიდან 3 298 ოჯახი.

საკანალიზაციო მიღგაყვანილობის გარეშე დარჩენილი ქალაქის განაპირა ქუჩები. სავალალო მდგომარეობაშია მიღგაყვანილობა ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში. დაზიანებულია მიწები და საკანალიზაციო ტუბები. ამის გამო ხშირად ნარჩენები აძობს ქუჩების სავალ ნაწილზე.

იმ ქუჩებზე, სადაც არ არის მიღგაყვანილობა, მოსახლეობის მხრიდან

საყოფაცხოვრებოდ გამოყენებული წყალი მიშვებულია სანიაღვრე არხებში, რაც ქმნის ანტისანიტარიას და გაუსაძლის მდგომარეობას, განსაკუთრებით ზაფხულში.

იმის გამო, რომ არ არსებობს განწმენდი ნაგებობა, საკანალიზაციო ნარჩენები ჩაედინება მდინარე ბუჯუში.

არსებული შედეგებით გამოწვეული ეკოლოგიური პრობლემა ზრდის ანტისანიტარიის გავრცელების რისკს და საფრთხეს უქმნის მოსახლეობას, ცუდად აისახება ქალაქის იმიჯზე, ხელს უშლის ტურიზმის განვითარებას და რეგიონის პოპულარიზაციას.

ამ პრობლემის მოგვარება დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული და მუნიციპალიტეტის სჭირდება სერიოზული ფინანსური მხარდაჭერა.

უნდა გამოიძებნოს პრობლემის გადაჭრის გზები.

**პირველი:** უნდა შეიქმნას სამუშაო გეგმა მუნიციპალური ორგანოების და შესაბამისი ექსპერტების ჩართულობით, რომელიც შეისწავლის პრობლემას.

**მეორე:** სჭირია განხორციელდეს გამოწმენდი ნაგებობის და წყალგანაღობის ქსელის შესაბამისი საპროექტო სამუშაოები და შემდეგ შესაძლებელი იქნება ვიზრუნოთ სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებზე.

ალექო ბურჭულაძემ საკრებულოს სხდომის მონაწილეებს ქ. ოზურგეთის, ზვანის უბნის მცხოვრებთა კოლექტიური განცხადება, რომელშიც ისინი №8 საბავშვო ბაღის ახალი შენობის აგებას ითხოვენ.

## ბალადა ქართველი დედისა

1989 წლის 9 აპრილის ცნობილი ტრაგედიის შემდეგ, ოზურგეთში შეიქმნა ნინო თოიძის სახელობის საქველმოქმედო საზოგადოება, რომელმაც 1990 წელს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია მეორეს ლოცვა კურთხევით დაიწყო საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამეცნიერო-ლიტერატურული ბიულეტენის „ლენიურის“ გამოცემა. ამ გამოცემის წარმატებებში დიდი წვლილი მიუძღვის პროფესორ ვიზო ჭელიძის ოჯახს (ბატონი ვიზო ლიხაურელი გახლდათ, ამ გამოცემის მთავარი რედაქტორი). ვიზო ჭელიძესთან ერთად გაზეთისათვის საინტერესო სამეცნიერო და სხვა სახის სტატიებს ამზადებდნენ მისი მეუღლე, პროფესორი ნათელა ჭახნაკია „ასევე მათი შვილები, ამჟამად ცნობილი პროფესორები ლადო და ედიშერ ჭელიძეები.

ქალბატონ ნათელა ჭახნაკიას ახლანდელ დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა. კულოცავთ მას ამ საიუბილეო თარიღს და გთავაზობთ მის წერილს „ბალადა ქართველი დედისა“, რომელიც 9 აპრილს დაღუპული გმირების ხსოვნას ეძღვნება.

სილამაზით გამორჩეულ ქართველებს გლოვაც ლამაზი სცოდნათო, შენიშნავდა რომელიღაც უცხოელი 9 აპრილს დაღუპულთა გლოვის დღეებში... სწორედ ეს სიტყვები მაგონდება, როცა მიუყვებოდი იმ სამგლოვიარო პროცესიას რუსთაველის პროსპექტზე, როცა ერთად შეგამკეთ ყვავილებით მოწამულთა სისხლით მორწყული წმინდა ადგილი და როცა ყველანი ერთბაშად აღმოვჩნდით ცრემლით განბანული ლამაზი სულების საუფლოში...

თითქოს ახალი ერა დაიწყო, ამგვარი ტკივილიანი, მაგრამ გასუფთავებული გრძნობებით შევუღებთ ახალ ცხოვრებას. მეტი სახსლოვე, მეტი ურთიერთგაგება... აი, ეს გვეჭირდება ყველაზე მეტად დღეს. ჩვენი საერთო მიზანი კი ისაა, თუ ამ განწყობილებას ყველას გულგებამდე მივიტანთ, გრძნობებს გაავსაქებთ... საინტერესოა, რომ ხალხური „ლექი ვეფხვისა და მოყმისა“, რომლის ფინალშიც სუქები იშვიათ მხატვრულ სიძლიერეს აღწევს და საუკეთესო მორალურ-ფსიქოლოგიურ ასპექტში მდგანდება, ქართული ელიტარული სულის ერთი საუკეთესო დადასტურებაა, რაც მე ენახე, რეალურად განვიცადე იმ დიდ ტკივილიან დღეებში.

გაზაფხულზე, აპრილის ბოლო რიცხვებში, წავედი რამდენიმე დღით დასავლეთში, სოფელ ლინაურში. მეორე დღესვე მივედი სამხმარზე 9 აპრილს დაღუპული ნინო თოიძის

ოჯახში. სანამ სინამდვილეს ვაგვიგებდი, დარწმუნებული ვიყავი, რომ ნინო, ეს სოფელი გოგონა, შემთხვევით დაიღუპა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ნამდვილი გმირი ყოფილა. ნინო თოიძეს და მარტვილელ აზა ადამიას ერთად ფიცი მიუციათ და მოშიშმიღეთა შორის მედარან. ორთავე მეგობარს გაუკაცური წინააღმდეგობა გაუწევია ჯავლაიუბისთვის და დიდხანს თავმანწირვით ებრძოდნენ მკვლელებს, ერთმანეთის სიცოცხლის გადასარჩენად. ვაი, რომ ამოდ...და მოწამობრივად დაიღუპნენ. დამგლოვიარდნენ ოჯახები, შემწარავი იყო დედათა გულის ჭიდილი უმადლეს მწუხარებასთან. მოხდა საოცრება. დედებმა შეძლეს ლამაზად ეგლოვათ შვილები. უმძიმეს წუთებში, როცა არავის და არაფერს შეეძლო მათი ტკივილის შემსუბუქება, ერთნაირი მწუხარებით გულშემოქმედდებმა გადაწყვიტეს, ერთად დაეტირებინათ თავიანთი შვილები...

მართლაც დაინიშნა სხვადასხვა დაკრძალვის დღე და ნინო თოიძის დაკრძალვაზე ჩამოვიდა მთელი ჩონატაურის რაიონი, თითქმის მთელი სამეგრელო. ასევე დაიტირეს ნატო გიორგაძე, ხოლო აზა ადამიას დაკრძალვაზე გურიიდან წასულ სამგლოვიარო პროცესიას, ზღვა თაიგულებითა და და ეროვნული დროშებით, დასასრული არ ჰქონდა...დიდი მწუხარება საერთო-სახალხო გლოვად გადაიქცა. დედათა მოთქმა და ზარი

დიდ ტკივილთან, დიდ უბედურებასთან შეერთებულად შეჭიდებას წარმოადგენდა ერთი საერთო გულით, ერთი საერთო ცრემლით და ერთი საერთო ნუგეშით.


ჭირის ჭირში გადატანა, საკუთარი მწუხარების სასწორზე სხვისი ტკივილის გათანაბრება მორალურ-ზნეობრივი კეთილშობილების უმაღლესი გამოხატულებაა, რაც ასე ნიშანდობლივი და დამახასიათებელია მხოლოდ ქართველი დედისთვის.

ჩვენს ჯიშსა და მოდგმას ეს დიდი შინაგანი კეთილშობილება დასაბამიდან მოსდგამს. „ლექი ვეფხვისა და მოყმისა“, უბრალო ბალადა როდია, იგი ჩვენი ცხოვრებაა, ჩვენი სულის სარკეა. ძველთაძველი, თვალშეუღვამი მითოსური სამყაროდან რომ მოდის, თაობიდან თაობაში გადადის და მკვიდრდება, ქართველი ქალი, ქართველი დედა სამყაროს აღმოჩენაა, კეთილშობილებისა და ზნესრულობის ცოცხალი ზატა, რომელზედაც ბევრჯერ დაიწერა, ბევრი რამ ითქვა, მაგრამ მისი სულის ზეგონობადობა, ტკივილისა და მწუხარების საიდუმლოებაში ჩაკარგული, 9 აპრილის სისხლმა ყოვლის მოცველი ძლიერებით კვლავ გამოავლინა.

**ნათელა ჭახნაკია,**  
„ლენიური“ №1, 9 აპრილი, 1990 წ.




ნატო გიორგაძის საფლავთან



ნინო თოიძის მშობლები: ყუყუნა და შუქრი თოიძეები

# „მხოლოდ ლაპარაკი და ახსნა განმარტებები ასეთი უმითხვევების დროს, თუ ბოროტებას ბოროტებით ვუპასუხებთ, ბოროტები გამრავლდებიან“...



ეს სიტყვები ცნობილი პედაგოგის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაუალას საჯარო სკოლის დირექტორის **ხათუნა აფხაზავას** კომენტარებიდან ამოვიღეთ, რადგან იგი დიდი პედაგოგიური გამოცდილებიდან მომდინარეობს. მაინც რა მოხდა 4 აპრილს, რუსთაველის ქუჩის დასაწყისში, ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის მიმდებარე პარკში?

დღის 16 საათისათვის, საგარეულოდ მე-6 მე-7 კლასის ასაკის რამდენიმე ვაჟი, თანატოლს აბულინგებდნენ. სათამაშო ატრაქციონის რკინის ბოძზე ჰყავდათ თოკით მიბმული.

მიუხედავად იმისა, რომ პარკში ცოტა მოშორებით ახალგაზრდების ჯგუფი იყო, მათ ან არ შეუმჩნევათ, ან არ ჰქონდათ რეაგირება აღნიშნულ ფაქტზე.

ქუჩაში მომავალ სპორტული აღნაგობის ახალგაზრდასთან ერთად, ამ ბავშვებს მოეთხოვეთ თოკით მიბმული ბიჭის გათავისუფლება. ბავშვებმა დაბმულს თოკები მოხსნეს. ვინაიდან არ ჩანდა ბულინგის გაგრძელების საშიშროება, თანაც დაახლოებით 12 წლის ასაკისანი იყვნენ, ვფიქრობდი, რომ ამ ბავშვებს ფსიქოლოგი უფრო სჭირდებოდათ, საპატრულო პოლიციისთვის არ მიგვიმართვას, მათ გავუხსნათ, ავუხსნით რამდენად ცუდ საქმეს ჩადიდნენ და მოეთხოვეთ ეთქვათ — ვინ იყო მათი „პერფონანსი“ ინციდენტორი.

— მე არ გამიკეთებია, არ ვიცი — ამბობდნენ ისინი.

რადგან ინციდენტი ამოწურული იყო, გარკვეული მიზეზების გამო შემთხვევის ადგილი დავტოვე, თუმცა ეს ფაქტი რომ არ დარჩენილიყო უყურადღებოდ, შესაბამისი ინფორმაცია დავდე სოციალურ ქსელში და ქალაქ ოზურგეთის ყველა სკოლის დირექტორს გავუზიარეთ.

პირველი ამ ინფორმაციის ოზურგეთის რესურსცენტრის უფროსი **ლელა იმედაშვილი** გამოეხმაურა. მან გვითხრა, რომ აღნიშნულს მოიკვლევდნენ, ბულინგში მონაწილე ბავშვების ვინაობას დაადგენდნენ და ბავშვთა უფლებების კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად იმსჯელებდნენ მისი გასაჯაროების შესახებ. დავაკვირებოდა სოციალური სამსახურიც...

მომხდარმა სოციალურ ქსელში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ზოგი მიიჩნებდა, რომ უფრო მკაცრები უნდა ყფოფილიყავით, უნდა გამოგვეძაბა საპატრულო პოლიცია, მოზარდები მკაცრად უნდა დაისჯოს, თუმცა ამ აზრს არ

იზარებდნენ ის ადამიანები, რომლებსაც ბავშვებთან შეხება აქვთ.

„მიუხედავად ამდენი ინფორმაციისა, ამდენი ტრენინგისა, ამდენი გაკვეთილებისა მაინც არის ჩვენი სკოლების ერთ-ერთი პრობლემა ბულინგი, თუმცა უნდა გითხრათ, რომ იმ დონით და იმ ხარისხით აღარ არის, მაგრამ როგორც ხედავთ ხანდახან „გამოხატვებს“ ხოლმე. ალბათ მკითხვეთ რა გავაკეთოთ მსგავსი ტიპის პრევენციისთვის გეტყვი, მხოლოდ და მხოლოდ ლაპარაკი და ახსნა განმარტებები ასეთი შემთხვევების დროს, თორემ „თუ ბოროტებას ბოროტებით ვუპასუხებთ ბოროტები გამრავლდებიან“... წერს ხაუალის საჯარო სკოლის დირექტორი **ხათუნა აფხაზავა** სოციალურ ქსელში.

„ამ ფაქტი აუცილებლად საჭიროებს დისკუსიებს საჯარო სკოლებში, პედაგოგების, მოსწავლეების მშობლების ჩართულობით, იქნებ ამ წერილის ადრესატების ყურადღებაც მიადქვიოს და გაიაზრონ ეს ამაზრზენი ფაქტი“ — ასე გამოეხმაურა **დავით დავითის** **ეროვნული ქსელის გურიის რეგიონალური კომიტეტი** მომხდარს.

„რასაც თქვენ წერთ, სასწრაფოდ მიმართეთ სკოლას, რომლის მოსწავლეებიც ეს ბავშვები არიან, ამ ბავშვებთან სერიოზული მუშაობა საჭირო მათ შორის ფსიქოლოგის! ბულინგი ძალიან სერიოზული პრობლემა სკოლებში, სამწუხაროდ სკოლები არ აღიარებენ ამ პრობლემის შესახებ, არადა აღიარებით იწყება ამ პრობლემასთან ბრძოლა, ბავშვური ოინი თუ წესად ქცეული ძალადობა, ამაზე დიდი მუშაობა ჩასატარებელი სკოლებში. არ ხდება სათანადო დონეზე ცნობიერების ამაღლება ბავშვებში, რატომ არსებობს კლასის საათი, კლასის ხელმძღვანელი, სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, მანდატური ფსიქოლოგი? იმიტომ რომ ბევრი ესაუბრონ ამ ასაკის ბავშვებს, მომავალში შეგვცხვება და კაი ბიჭი არ იქნება, არაა გამოსავალი, უმძიმესი ამბავია“ — წერს **ია ჩხარტიშვილი**.

„არეცი, დღეს კი ვადარჩა ბულინგის მსხვერპლი, მაგრამ ხვალ, ხვალ რას იზამენ მოძალადეები, ხვალ რას იზამს მსხვერპლი... მომავლის უნდა გვეზინოდეს თუ დღესვე არ მოეთხოვ? პასუხს“ — წერს სოფელ მთისპირის საჯარო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე **მარინა ძაგაშვილი**.

„სამწუხაროდ ძალიან იმატა მოზარდებში ძალადობის და

ბულინგის შემთხვევებმა. ქუჩებში ე-წ გარჩევებმა სისტემატური სახე მიიღო. აგერ პოლიცია, საპატრულო და იქვე მოჩუბარი და მოკამათე ბავშვები. არ გამოვიჩინა და არ დამინახავს პოზიციაში დგანან!! თუმცა რა მიკვირს. ერთი პედაგოგი ცინიკურად ყვებოდა დაქალებში სკოლის ამბავს: ( თხრობის სტილი დაცულია) იმ შტერს მთელი დღეა დაცინიან და ურტყამენ აი აბაღა ბაღები.. არადა მართლა ისე აცვია და იმფერი აბაღაა, მე ძვლივს ვიკავებ თავს, არ გამეცინოსო. ახლა მე თქვენ გეკითხებით — ასეთი მასწავლებელი რა მორალზე ისაუბრებს ბავშვებთან ძალადობის წახალისების ვარადა? კაი, მშობელი ვერ ყავს ისეთი, სწორ გზაზე დააყენოს შვილი, მაგრამ სკოლა? ყველაგან ძალადობას ხედავს მოზარდი, სკოლაში, ქუჩაში, ტელევიზორში, მეგობრებში, და ამის შემდეგ ვინმეს გაუკვირდება საიდან ამდენი ძალადობა? ზოგადად ყველას ერთ ქვაბში ვერ მოვსამათ, რათქმუნდა ძალიან კარგი მასწავლებლებიც ბევრია. სკოლაში რომ დიდი პრობლემებია, აშკარაა, მართო კრედიტების დაგროვება არაა საკმარისი მასწავლებლობისთვის“ — წერს თათია დუმბაძე.

„ყველაფერთან ერთად რაც დღეს ხდება (სიძულვილის ენა) პრობლემა ოჯახებშიცაა აღზრდასთან დაკავშირებით. ვფიქრობ ოჯახში უნდა სწავლობდეს ბავშვი, რომ ასე მოქცევა მსუბუქად რომ ვთქვათ ცუდი საქციელია.“ (ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელი **ეკატერინე სირაძე**).

„როცა ყველაფერი, რაც კი დენის წყაროში ირთვება და იტენება, სიძულვილს ასხივებს, სხვას რას უნდა ველოდეთ მომავალი თაობისაგან“... ( მოძრაობა „ხალხისთვის“ ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე **ვანო გოგოლაშვილი**).

„გორმალური, ღირებულებებითი აზროვნების ფუნქცია II წლიდან იწყებს ამუშავებას და ყოველთვის ვერ ახერხებს განვითარებას. ამიტომ მნიშვნელოვანია სულიერი ღირებულების შრომა ამ მიმართულებით. მოზარდებთან სათანადო მუშაობა საჭირო, რომ მათ დავეხმაროთ ადამიანად ჩამოყალიბებაში. ხშირად გულგრილობასაც ვაწყდებით მსგავს შემთხვევებში... სინამდვილეში, ჩვენი წილი პასუხისმგებლობა ყველამ უნდა ავიღოთ ბავშვების სულიერად აღზრდის საკითხში.“ ( **მზეო ზომერიკი**).

„მაგ ბავშვებს ფსიქიკა შერყეული აქვთ. პატრული უარესს შედეგს გამოიღებს. აუცილებელია მიმართონ სკოლას, რესურსცენტრს და ყველაზე აუცილებელია მშობლებთან და ერთად უნდა მიიღონ გადაწყვეტილება.“ ( ბიზნესმენი **ხათუნა სირიძე**).

„ძალიან სამწუხარო ფაქტია და თანაც სასწრაფოდ რეაგირება მოსახდენი“ (ოზურგეთის სპორტ-სკოლის დირექტორი **გონა კვიციანი**).

გაზეთი „ალიონი“ აგრძელებს ამ თემაზე მუშაობას.

## ნუზრარ ასათიანი

# „ბავში 1 ჰიდროელექტროსადგურის“ სოციალური პროგრამა 2022 წელს მასწავლებლების ტრენინგით გაიხსნა



2022 წლის 1, 2 და 3 აპრილს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მთისპირის საჯარო სკოლის, საბავშვო ბაღის და ასევე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხაკაურას საჯარო სკოლის პედაგოგები, მათთან ერთად კი, ორივე მუნიციპალიტეტის რესურს ცენტრების ხელმძღვანელები (42 პედაგოგი) ბავში 1 ჰიდროელექტროსადგურის მიერ სპეციალურად პედაგოგებისთვის დაგეგმილ და ორგანიზებული სასწავლო ტრენინგს დაესწრნენ. პედაგოგთა ტრენინგ მოდულის პროგრამა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ექსპერტებთან ერთად შემუშავდა და მიზნად ისახავს, მონაწილეებისთვის ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში საკანონო მიმართულებების გაცნობას, სასწავლო პროცესის დაგეგმვის, წარმართვისა და შეფასების უკეთ ორგანიზების მიზნით ინფორმაციის მიწოდებას. ეს არის თანამედროვე მიდგომა, რომელსაც რეფორმის სახით ეტაპობრივად ნერგავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. პედაგოგებმა სწორედ, ამ რეფორმის ექსპერტებისგან მიიღეს ინფორმაცია ახალი მიმართულებების შესახებ. ტრენინგი ჩატარეს მარი ჩიქოვაძემ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ და ნიკო სილაგაძემ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარების ექსპერტმა.

— „ტრენინგი ვათვლილია განათლების რეფორმის პროცესში ჩართულ ადამიანებზე, რომლებსაც სისტემატიზებული ინფორმაცია სჭირდებათ რეფორმის მიზანმიმართულ სურათის აღსაქმელად. ჩვენი შეხვედრების ფარგლებში მონაწილეები

# „თუ თანადაფინანსება მიქნება — თანამედროვე წისკვილს გავმართავ“



ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში გამართულ შეხვედრაში მცირე მეწარმე ლევან თორდია მონაწილეობდა. შეხვედრის დასრულების შემდეგ იგი გაზეთ „ალიონს“ ესაუბრა.

— ქ. ოზურგეთის გარეუბანში, ზვანში ვცხოვრობ. მაქვს 0,5 ჰექტარი

გაეცნობიან რეფორმის კონცეფციას, ძირითად საკანონმდებლო დოკუმენტებს, დანერგვის ინსტრუმენტებს და სასწავლო რესურსებს. ვფიქრობ, რომ ასეთი ტიპის ტრენინგი სასიკეთოდ აისახება ზოგადი განათლების რეფორმის მსვლელობაზე. ის ხელს შეუწყობს სასკოლო საზოგადოების წევრების შინაგანი მოტივაციის ამაღლებასა და თანამშრომლობითი ურთიერთობების ჩამოყალიბებას სკოლაში და გარე ორგანიზაციებს შორის“ — განაცხადა **ნიკო სილაგაძე**, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარების ექსპერტმა.

„განათლების ხელშეწყობის კომპონენტი სერიოზულ და მნიშვნელოვან ადგილს იკავებს „ბავში 1 ჰიდროელექტროსადგურის“ სოციალურ პროგრამაში, რომელიც, როგორც უკვე იცით, მოსახლეობასთან ერთად შემუშავდა. ჩვენ შევიბუშვით პროექტები, რომლებიც პასუხობს როგორც საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისთვის, ასევე სკოლის მოსწავლეებისთვის და სტუდენტებისთვისაც არსებულ გამოწვევებს. მიგვაჩნია, რომ ამ კრიზისში პედაგოგები ჩვენი პირდაპირი სამიზნე აუდიტორიაა და მათი პროფესიული განვითარება უმნიშვნელოვანესია. ისინი უნდა ფლობდნენ უახლეს ინფორმაციას სექტორში მიმდინარე სიახლეების შესახებ და გამოიყენონ ეს ცოდნა აღსაზრდელებთან მუშაობისას. სწორედ, ამიტომაც მოვიწყვიტე სამინისტროს ექსპერტები, მათ მიერ შემოთავაზებული მოდული იმდენად საინტერესო აღმოჩნდა პედაგოგებისთვის, რომ პრაქტიკულად 100%-იანი დასწრება გვაქვს ტრენინგზე“ — განაცხადა „ბავში 1 ჰიდროელექტროსადგურის“ პროექტის გაერმოს დაცვისა და სოციალური კავთების მენეჯერმა, **დავით მიქელაძემ**.

მიწია ნაკვეთი. „აწარმოე საქართველოს ფარგლებში“ დამაფინანსეს. შარშანწინ გავაშენე ფოლო, მაგრამ გამოუცდელია გამო, ვერ მივიღე პირველ წელს კარგი შედეგი. შარშან 500 კვადრატულ მეტრზე გავაშენე და ნერგების განვითარებას კარგი პირი უჩანს. ოჯახი მიდგას მხარში. მეუღლე, 4 შვილი ჩემს გვერდით არიან. ვფიქრობ კარგი ბაღი მექნება.

ოჯახში ძველი წისკვილი მაქვს. ძალიან მინდა, რომ თანამედროვე წისკვილი მქონდეს, სადაც მეგრულ ლექსებს ვაწარმოებ და დაფასობენ. მეუღლეს მივაწვდი ქსელს. ასეთ წისკვილს თანამედროვე დანადგარები სჭირდება. ამაში მჭირდება თანადაფინანსება და შესაბამის პროექტს მოვამზადებ — ვითხრა **ლევან თორდია**.

# ოზურგეთის გადაჭრა

**„გურიის რესპუბლიკის“ შემდგომი შემდეგ, ოზურგეთის გაზრაში პრაქტიკულად გააუქმეს რუსეთის იმპერიის იმპერიალიზაცია და ხალხთა თავად ადგილზე ხელისუფლება.**

**1905 წლის 2 ნოემბერს, ნასაკრალინის ცნობილი ბრძოლის შემდეგ, როდესაც აჯანყებულმა გურულებმა სასტიკი მარცხი ახადეს ლაზარბეგის დამსჯელი რაზმის კაზაკებს, მშვიდ რუსეთმა ახალი რეპრესიებით უპასუხა - თუმცა რუსების გაშორება სინასტიკაში ვერ მოახერხებინა ძალი გურულებმა.**

1906 წლის ანგარიშის დასაწყისში გურულები შეიჭრა ხერხონის პოლიციის ვარიანტებში ალიხანოვ აჯანყების ერთგული სატრაპის, პოლიციის კრილივის ხელმძღვანელობით. გურულები შეესწავლეს კრილივის გადაწყვეტილებას და არ დადგინდნენ მთავრობის დაწესებულებებს, არ ჩააბრუნდნენ არაღიარებული გადასახადს, არ დასაჯეს ვარაზი გასაწვევ ახალგაზრდობას და აჯანყების მოთავეებს, მიუღწევად ვადასაგა ეზურა. კრილივის გადაწყვეტილებით მოთხოვნაზე, რომ გურულები გურულების მხრიდან ითხოვდნენ თოვით ჩაებრუნებინათ, აჯანყებულებმა ლაკონურად უპასუხეს: „ითხი ათასი თოვი, რომ გეკონია შენ და შენს ვარისკაცებს თავი, როგორ შეგრძებდათ ტანზე“ (აბაკიძე, საქართველოს ისტორია, გვ. 88)

კრილივის დამსჯელი რაზმის სისხლიან მოქმედებას აჯანყებულმა გურუების მოსახლეობამ პარტიზანული ბრძოლით უპასუხა, რამაც ხალხის ვალაღი სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. ასეთ ვითარებაში მან გადაწყვიტა თავისი პოლიტიკური მიზანობა და გურიიდან გააპარულიყო. გურიიდან კრილივის გაპარვისთანავე დაკავშირებით დაეით კლდეშვილი მოგვიტანოს: „კრილივი რომ არ მოეკლათ, ფარულად ჩაიფარებოდათ ბათუმში და არა ნავსადგურთან, არამედ ბათუმის ბულვართან ნავთი მაყინეს ზღვაში ვარსკვლავს ვერს, ჩასვეს შიგ და გაისტუმრეს იმ მდინარეში, სადაც იყო მოსული“ (დკლადაშვილი ტ.2 გვ.317-318) მანამდე კი ოზურგეთში კრილივის „მოღვაწეობის“ შესახებ მსალებს ვაგვიცნობით. მუხუშვიტის ხელნაწერთა ფონდში დაცულ ნასაკრალინის შეტყაობის მონაწილე გრიმ ამაკოს-ტე ლუშაძის მოგონებებში: „1905 წლის 9 ანგარიშს პეტროპოლისის სისხლიანი კვირის წლისთავზე ქალაქ ოზურგეთის ქალაქის ბაღში, სადაც აქამდე თუბრის შერობა, გაიმართა არასრული მიტინგი და მიტინგის დამთავრების შემდეგ დემონსტრაცია. დიდის ათი საათიდან ხალხმა იწყო დენა სოფლებიდან ოზურგეთისკენ სიძველით. მზანი და თბლი დღე იყო, მიტინგს

სტრაცია გვიდა ბლიდან მარცხნივ სტალინის ქუჩით დასავლეთისკენ, შემდეგ მარცხნივ გუბუა ქარვის ქუჩით, ჩავიდა მალაზების შუა ქუჩაზე. ბაზართან ორატორებმა მოკლე სიტყვები წარმოიტყვეს. სულ ახლოს, სამ სართულიანი ყაზარმის შერობა იყო. ფანჯრებიდან ვარისკაცები გადმოგვიხედნენ, ერთმა ორატორმა რუსულ ენაზე მიმართა მათ სიტყვებით. ამის შემდეგ დემონსტრაციამ დაიწყო. მთელ დღეს, 10 ანგარს ქალაქის რევოლუციური თვითმმართველობის ხელმძღვანელმა ქალაქის ელვის სისწრაფით მიუღო საზარელი ამბავი, „მეფის დამსჯელი ექსპედიცია გურიაში მოდის წესრიგის აღსადგენად და საღვთურ ნაგებებში ჩამოიფედა, არ ვასულა ერთი საათი, რომ დასავლეთის მხრიდან ცა წითლად შეიღებდა, გამოირკვა, რომ საღვთურ ნატანებში ჩამოსული სადასჯელი ვარი სწავდა ყველა კიბო შერობებს, იჭერდა და სცემდა განურჩევლად ყველას, ვინც კი ხელში მოხვდებოდა. დამსჯელი რაზმის მოახლოება და ნატანების გადაწვა მიუღო გურუების მიერ. ხალხი ფეხზე დადგა. რაზმელები დაუბახუნდნენ თავს იყრიდნენ და კითხვობდნენ, „სად და როდის წაიღეთ“. ოზურგეთში ხმ გაერცხლა, რომ დამსჯელი რაზმის უფროსი კრილივი თხოვლობდა მხრის ადმინისტრაციისა და მოქალაქეთა წარმომადგენლებს მოსალაპარაკებლად. ქალაქის მოსახლეობის მკითხველმა კრილივთან მოსაპარაკებლად აირჩია ყოფილი ოფიცერი ვიორგი ბერიძე, აფთაიას მესაკუთრე (ყოფილი ქალაქის თავი) ვასილ ზუნდაძე. ამ ორ პირს მხრის ადმინისტრაციამ (რომელიც სინაძეებში არც კი არსებობდა) მიუმტა ბოქალის მოვალეობის აღმსრულებელი ვიორგი დგებუაძე. დგებუაძე პოლიციის მოხელე იყო, მაგრამ გურიის მოძრაობის ხელმძღვანელებთან ჰქონდა საიდუმლო კავშირი და სახლო პირიც იყო. დგებუაძე წარუდგა კრილივის და სთოვა ეპატაბის გურულებისათვის „შეკიდებანა“. კრილივმა „დეტუტაცია“ მიიღო და განუცხადა, „თუ მოსახლეობა ჩემს ვარის მხრამ შესვლისა და ყოფნის დროს წინააღმდეგობას არ გაუწევს, 17 ოქტომბრის მანიფესტის საფუძველზე მიიღებენ ჩემს მოთხოვნას ე.ა. ვარაზი

იღმა დაიფერა ეს ყველაფერი და წავიდნენ ოჯახებში. დგებუაძემ კრილივის „პატაკი“ მარეისების კლუბში მიიტანა, სადაც მას კომიტეტის წევრები და წითელი რაზმის შტაბის უფროსი ელოდებოდნენ. პატაკი ოზურგეთის ვარისზონის უფროსის სახელზე იყო და ეწერა, რომ „ამ ბრძანების მიღებისთანავე თქვენ ჩემს სადამსჯელი რაზმში შედიხართ და წინადადებას გაძლევთ დააპტიმობთ შეიარაღებული რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელები“... ხელს აწერდა კრილივი. პატაკი ფრთხილად დატყდეს და ერთი საათის შემდეგ გადაეცა დანიშნულების ადგილს. ერთი საათით ისარგებლეს მოძრაობის ხელმძღვანელებმა და ქალაქიდან გავიდნენ. როცა ოზურგეთის ვარის უფროსის აცნობეს, რომ ქალაქში არც ერთი მოძრაობის ხელმძღვანელი აღარსად ჩანს-სო, სადაც ვარისზონი, ის გაევირდა, ძალიან აღშოვიდა და მშვიდდებუაძემ მიიტანა, რაც დგებუაძეს კინაღამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა. (ო.ი.მ. ხელნაწერთა ფონდი საქმე 302, რევოლუციური გრ. ლუშაძის მოგონებები. გვ.14-15)

1906 წლის 11 ანგარს, პოლიციის კრილივი დამსჯელი რაზმით ნატანებიდან ოზურგეთისკენ წამოვიდა. ქალაქში რომ შემოვიდა, უკვე დაღამებული იყო. ცხრა საათი იქნებოდა (ალბათ ვარაზის). სრულიად მოულოდნელად ქალაქში მალაზების ცეცხლი გაუჩნდა სხვადასხვა ადგილას ერთსა და იმავე დროს. მაღაზიის პატრონები მიცვიფდნენ თავისი ქონების გადასარჩენად, დასაყავად, მაგრამ ვარისკაცები მათ იჭერდნენ და უღმობლად სცემდნენ, როცა ხანძარი შენობას მძლავრად მიუღებოდა, ნაწილი ვარისკაცების მიცვიფდებდნენ და ვითომც ცდილობდნენ ცეცხლის ჩაქრობას, ქონების გადასარჩენად. ნატანად აქცია ოზურგეთის ყველა მაღაზია გარდა იმ ათიოდე მაღაზიისა, რომლებიც სამ სართულიანი ქვის ყაზარმის უკან იყო და მათი დაწვა ყაზარმისათვის საფრთხეს წარმოადგენდა. მთელი დღე მესამე დღეს დასწევს ის საცხოვრებელი სახლები, რომელიც მოძრაობის მონაწილეს ეკუთვნოდა, ანუ, რომლებიც შექმნილი პირი ცხოვრობდნენ. ასე ასრულა თავისი დანაპირები პოლიციის კრილივის, იფრინებდა თვით მხალხელი გურიის რევოლუციური სამხედრო შტაბის ყოფილი უფროსი ვარ. დემბაძე. როცა კრილივმა გურიის გადასწვლი გული მოიფერა, შეუდგა მხრის ადმინისტრაციის აღდგენას... დაიწყო ნადირობა რევოლუციური მოძრაობაში შემქმნელ პირებზე, საკვირიბელები ავისო, შავბეგლი რეაქცია დაეუფლა თავისუფლების მოტრფილ გურულებს. მთავრობის რეპრესიებს ატაკებდნენ მთელს გურულებს წითელი ტერორით უპასუხა, მოკლეს რამდენიმე ვაშუმში და რეაქციონერი: ანთაძე, დლინტი და სხვები. ზოგი რევოლუციური სარსეოში გადავიდა სარსეოის რევოლუციის დასამარტულად. ვინც გურიაში დარჩა არაღვარულად ცხოვრობდა. 1906 წლის ზაფხულში გურია დატოვა და შუა აზიაში გადავიდა გრიმ ლუშაძე, რომელიც გასაბჭოების შემდეგ დაბრუნდა შობილი გურიაში. 1906 წლის დასაწყისში ოზურგეთში იმყოფებოდა მწერალი და საზოგადო მოღვაწე ნინო ნაკაშიძე, რომელმაც აღწერა იმდროინდელი მდომარეობა: „იმ სახლს, რომლის აფინდანაც გენერალი ალიხანოვი ლაპარაკობდა, უწინ მაღაქია გურიელი ცხოვრობდა (დღეს დასხლეობით ის ადგილია, სადაც აქამდე კითხუბრი ოზურგეთის მლ.). გენერალმა ალიხანოვმა შეკრიბა დარბეული მოსახლეობა და უბრძანა დაწოქით და მოესმინათ მისი ბრძანება თებერვალი იყო, წვიმა და რაღვანაც ხეობა განიხნული იყო ტყვეებსა და მივებში, ქალაქში მხოლოდ 70-80 წლის მოხუცი ქალები და კაცები იყვნენ დარჩენილი. ხალხი დარბეული. ალიხანოვმა მკაცრად მოითხოვა დაწოქლ მოსახლეობის დაუკონებლად მოეყვანათ რევოლუციონერები ახალგაზრდა „ყაჩაღები“ და ჩაებრუნებინათ. მან მიმართა ხალხს სამხრული სიტყვებით „ოქტე გეფიონიათ უთოუდ რომ ძველად ამბობდნენ სჯობა ათი დანამაგე გავთავისუფლებთ ვიდრე



ერთი უდანამაგეო კაცი დავსავოთ. ახლა კი ჩვენ ვამბობთ, სჯობია ათი უდანამაგეო კაცი დავსავოთ ვიდრე ერთი დანამაგე გავთავისუფლებოთ“. მე ლობესთან დამსჯული ვიდექ და ვერს უვდებდი, მაშინ ვახე“ ცნობის ფურცლის“ კორესპონდენტი ვიყავი... (ნ. ნაკაშიძე „მოგონებები გურიაზე“ იამფს. 531) მაგრამ გურული გლეხობის დამინება ადვილი არ იყო, რადგან ისინი დამარცხებას ადვილად არ ურიდებოდნენ. ამის შესახებ ლინი წერდა: „კაკასიის დამსჯელმა ვერ კიდევ ვიანურება, რევოლუციური მუშები და გლეხები ბრძოლით იხევენ უკან“ გურია ვერ ლახარგის პლასტუნებმა მოახრეს, შემდეგ კრილივმა გადაწვა. დიდი იყო ადამიანთა მსხვერპლიც.

გურულ დაზარალებულთა დასახმარებლად ქართველთა პატრიოტებმა შექმნეს „დამწვართა გამგეობა“, რომლის ხაზინადარი და მდივანი იყო ნინო ნაკაშიძე. „საქართველოს ყოველი კეთხიდან დაიძრა შეწირულობანი, დამწვართა გამგეობამ“ დახმარებისათვის მიმართა საქველმოქმედო საზოგადოებას. საზოგადოებამ გადაწვარ გურულთა დახმარების საკითხს სპეციალური სხდომა მოუდგინა და გარკვეული თანხა გააღიოსხდომამზე სიტყვით გამოვიდა რევოლუციის დიდი ქომაგი ილია ჭავჭავაძე, რომელმაც განაცხადა: „ის თანხა, რომელიც ჩვენ გადავდებთ, ისე მცირეა, რომ საქველმოქმედო საზოგადოებამ უნდა იზრუნოს და გამოხსნოს საშუალება და დრო და დრო კიდევ დაწვართ, თორემ ითხას წერილშილიან გადაწვარ ოჯახს აბრა და დახმარება უნდა გაუწიოს ითხასს თემანმა, თითო თემანზე ოჯახს არ ააშენებს, ეს უნდა ვიყოფილი“. ილია ჭავჭავაძე პირადად ესაუბრა გურულ გადაწვართა წარმომადგენლებს... დაწვრილებით გამოკითხა საქმის ვითარება და დახმარება მთავარი ისაა, რომ ახლა დიდი მოთმინება საჭირო ხალხისათვის, რომ ამ საშინელ დროს ფიზიკურად გადარჩენ.

– მთავარი ბატონი ჩვენთვის არაღია - შეიტყუვა გადაწვართა ერთ-ერთი წარმომადგენელი. მწერალი რამდენადმე დაეთანხმებოდა თანამოსაუბრეს „არაღი კარგა, მაგრამ ახლა მთავრობა ვეპირებს ყველას მოვისმენთ და ცხოვრებას გაუადვილებთ ხალხსო“... თანამოსაუბრე გურულმა, რომელმაც ეტყობა კარგად ესმოდა რევოლუციამ ახლის ძლის, არაფერი სწამდა მთავრობის დაპირებისა. ილია ჭავჭავაძეს ჰკითხა და მერე გვერათ თქვენ ეს? „მეჯერა“ დაჯერებით რა მთავარსეონ - მოვე მწერალმა, მაგრამ ჩვენი აზრი მაინც უნდა გავაგებინოთ და შეიძლება ნაკლები მსხვერპლი დავვიკვდეთ. სუბარი კარგა ხანს ვაგრძელდა. დიდ მწერალს კიდევ ბევრი სურდა მოესმინა გურულების მამაცობის შესახებ... მე მინდა კიდევ ვნახოთ - უთხრა გამოიშვდილობების მან ნინო ნაკაშიძეს, კიდევ ბევრი რამ მინდა ვათხროთ. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა დანაჯლისა ჩემს ცხოვრებაში ისრომ არასოდეს დრო არ მქონდა მთლიანად გატყენი ჩვენი ქვეყანა, ავილით თუნდაც გურია, აჭარა, სამეგრელო, არ მქონდა საშუალება მეცხოვრა ამ კეთხეში მცირე ხნით მაინც.“ (ი. სისარულიძე „რევოლუციის დიდი ქომაგი“ ვაზ. „ლეონის დრომ“ 106,11 ნოემბერი 1962 წელი). სანტერე

სოა მუხუშვიტის ხელნაწერთა ფონდში დაცული საქმე 85, რომელშიც აღწერს ხელნაწერი 1906 წლის თებერვალში ოზურგეთში დამწვარი სახლებისა. საიში მოცემულია სახლები და დამხმარე ნაგებობები შეფასებული იმ დროინდელ ფულთი მანეთებში მივიტანთ რამდენიმე ჩამონათვაღს: 36.დათიკო წითაიშვილი სახლი - 120 რუბ; 37.ფანე წითაიშვილი-ორი სახლი 300 რუბ; 38. დათა ქარიძე ორი სახლი 320 რუბ; 39.აგორ დლოძი ვოდა - 500 რუბ; 45. არსენ სტევანია სახლი 500 რუბ; 43. კოსტა და სოლომონ სტევანია - ვოდა 900 რუბ.ორი სახლი 100 რუბ... 90. ფარნაო ჭვიშვილი სახლი 100 რუბ.კახარმა 80 რუბ. = 180 რუბ... 57. მუსე ნიკოლაიშვილი - ნალიე 150 რუბ, 58. შალვა და ჭიჭიკო ნალიელების დამწვარი სიმიდი და სახლი ღირებული 140 რუბ... 61. სიმონ გუგუჩავა - ვოდა 4000 რუბ. ორი სახლი 500 რუბ. სამი ნალიე ერთი სიმიდი-300 რუბ. ბუღელი 100 რუბ. საარმარეო კარვები 1000 რუბ. = 5900 რუბ... 65. ლადიკო ბერეჟიანი ვოდა 500 რუბ. სახლი 100 რუბ. = 600 რუბ. 66. ფენია დლინტი სახლი 200 რუბ; 67. პეტრე სამსონია ლუქანი-3 00 რუბ. ნალიე - 100 რუბ. =400 რუბ. ... მალაქი ახალაძე ვოდა 800 რუბ. სახლი 100 რუბ. ხულა 50 რუბ. ორი ნალიე 100 რუბ. ფაცა 20 რუბ. = 1070 რუბ ... საი ვრძელდება. ჩვენთვის უცნობია როგორ მოხდა მათი ანაზღაურება.სანტერესი ცნობა მოგვაწოდა ქალბატონმა ზოია დლინტამ (ოზურგეთელი მხატვრის გერონტი დლინტის მეუღლე) გერონტის ბაბუა ვარისკაპან დლინტის (ცხოვრობდა ყოფილი საბურავების შემოკეთებული ქარხნის მიმდებარე ტერიტორია) იგი აზნაური იყო (მოწამობა ამის შესახებ ახლაც ინახება ოჯახში) ჰქონდა ოდა სახლი და რამდენიმე დამხმარე ნაგებობა: ბუღელი, ნალია, სამზადისის, წივილი და ა.შ. ქალბატონი ზოია ინსტებს მამდა ნატანამ მოუთხოო თუ როგორ შეიძვედნენ ეზოში ყაზარ რუსები, დაუშინეს ტყეები სახლს, ცეცხლი გაუჩინეს წინა მხრიდან, მე კვლიდან ნონი ჩამოვლოვჯე ვაგიქცი და ჭამ ჩავყე. 9 წლის ვიყავი მაშინ. იყრს მამაჩემ ვარისკანი სახლში ევრათ და უფიქრათ გამოეწვეათ შვილი. მამაჩემს ვასწრო და ეზოს უკან საღირებში დამიღა. ასე გადაჩრა, სახლი კი დაწვა. მაგრამ ჩვენებს ორი სახლი კიდევ გვექონდა რკინეზის საღვთთან ახლოს. იქედან ამოიტანეს ეს სახლი ერთი კი დარჩა ქალაქში, რომელიც მერე ჩამოვართვეს ქალთა კინოსულტაციას გადასცეს. ნონი მერე ჭიდან ამოვიღეთ და კვლავზე მთავრდეთ ნატყვარი და ჩამოვლოვჯილი საკიდარებიც ახლაც ატყვა. იგი დღესაც ინახება გერონტი დლინტის ოჯახში.როგორც რელიკვია. მკითხველს ვთავაზობთ მუხუშვიტის ფოტო არქივში დაცულ ფოტოს, რომელზეც აღბეჭდილია ოზურგეთის ერთ-ერთი გადაწვარი კვარტალი, საგარაუდოდ ვა უნდა იყოს ყოფილი 1905 წლის ქუჩა.



დაესწრო ათასი შეიარაღებული წითელრაზმელი. პარტიის ორატორები ერთმანეთს ევბირობდნენ და ეხებოდნენ 9 ანგარის პეტროპოლისის მშვიდობიანი დემონსტრაციის დახვრეტას და სხვა საჭირობოლო საკითხებს. სტუდენტმა ფირცხალაშვილმა სიტყვით მიმართა ბაღის მახლობლად ყაზარმის ფანჯრებში გადმოხედვარ ვარისკაცებს. დამთავრდა მიტინგი, გაიმართა დემონსტრაცია, რომელსაც წინ მიუძღოდა ცხენზე ამხედრებული წითელი რაზმის შტაბის უფროსი გრიმ ლუშაძე. დემონსტრაციას იცავდა წითელი რაზმის ასეული, რომლის რაკალში მოქცეული იყო დემონსტრაციის მონაწილენი. დემონ-


გასწვევები წავლენ ვარაზი, სახელმწიფო გადასახადს ნაწილ-ნაწილად ვადაიხდინა, მხრის ადმინისტრაციასა და სახელმწიფო დაწესებულებებზე ბოიკოტს მოხსნა. მაშინ მე არავითარ რეპრესულ ზომა არ მივიღებო. პირიქით, წარსულს ვაბატივ და ყველაფერს დავივიწყებო. ასუსხს მიუთხოვ მხოლოდ ჩემი ჩამოსვლისა და დამანაკების შემდეგ ჩაღვნილი დანაშაულისთვის“. კრილივმა ბოქალის მოვალეობის აღმსრულებელს ვიორგი დგებუაძეს ჩააბრა „პატაკი“ და უბრძანა გადაეცა ოზურგეთში მყოფ ვარის ნაწილის უფროსისათვის. ოზურგეთში მიუღანზე შერეოვლი მოსახლეობის ნაწ-

განსა ლოგამი, ოზურგეთის ისტორიული მუხუშვიტის ფონდების მკველი.



# ეროვნული მოძრაობა რევოლუციის პერიოდში

## ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შესაქმნელად



ილია ჭავჭავაძე

საქართველო  
სრულყოფილად  
დაამოუკიდებელი  
სახელმწიფო (1918)

**მედიანოვოლი:** რუსეთის საზოგადოებამ გამოთქვა თავისი სურვილი დამოუკიდებელი კრების შესახებ. ქართველი საზოგადოება მას უერთდება. მხოლოდ უსიცილო და თავდასუსტმა ბიუროკრატებმა შეთხზა ცილისწამება საქართველოს რუსეთისგან განცალკავების შესახებ... ავტონომიის ხსენება ამინებს მხოლოდ ზოგიერთ ჩვენს თავდაზნაურებს. რუსეთის ცენტრალური დაწესებულება ვერ გაიგებს ჩვენს საჭიროებას...

**ილია ჭავჭავაძე:** თუ გესურს ხალხის სახელით ვითხოვოთ რაიმე, უნდა გავიციოთ ხალხი და მისი აზრი. იმას ვთხოვლობთ, რომ მოგცენ საშუალება გავიციოთ ხალხი, იმის აზრი და მოთხოვნა. ამ საკითხში უნდა შეერთდნენ ყველა დასება, მიმართულების განურჩევლად.

**ივ. სვამბარია:** დღეს ჩვენ ხალხის სახელით ავტონომიას ვთხოვლობთ... სიმართლეს მოკლებულია, თითქმის ჩვენ ავტონომიის წინააღმდეგნი ვიყით. რუსეთთან შეერთების ხელშეკრულებით (იგულისხმებოდა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი-გვ.) ავტონომია კი არა, მეტიც, უნდაც შეგვიძლიან ვითხოვოთ...

**ივრატიშვილი:** ჩვენი მოთხოვნა უნდა დავამყაროთ რუსეთთან შეერთების ხელშეკრულებაზე (იგულისხმებოდა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი-გვ.). მოვითხოვოთ ის, რაც რუსეთის ხელში იყო აღკვეთილი შეერთების დროს.

თბილისის გუბერნიის თავდაზნაურობის კრებამ 44 ხმით 4 ხმის წინააღმდეგ ნიკოლაი II-თვის გასაგზავნად ადრესში საქართველოს ეროვნული ავტონომიის თხოვნის შეტანას დაუჭირა მხარი.

ნიკოლაი II-თვის გაგზავნილ ადრესიდან მოვიხიზნოთ რამდენიმე ფრაგმენტს:

„...მიუხედავად იმ სიმძიმისა, რომელსაც რუსეთი იტანს, როგორც ბრძოლის ველზე (იგულისხმებოდა რუსეთ-იაპონიის ომი - გვ.), ისე შიგნით იმპერიაში (იგულისხმებოდა რევოლუცია - გვ.), ქართველი თავდაზნაურობა რწმენით და იმედით შეკრულებს მომავალს.“

„ახლოა ის ბედნიერი დღე, როდესაც რუსეთის თავისუფლად არჩეული წარმომადგენელი, ეროვნების განურჩევლად, შეუდგება მოწყობას რუსეთისა და განაპირა ადგილებისას, მათ შორის

საქართველოსას, რომელიც შესდგება ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების, ბათუმის, სოხუმისა და ზაქათალის ოლქებისაგან (უნდა იყოს: ბათუმის ოლქი, სოხუმის ოკრუგი, ზაქათალის ოკრუგი - ვ. გ.).“

„...თავდაზნაურობა, ზრუნავს რა სახელმწიფო საზოგადო სარგებლობის და საჭიროებისათვის, მტკიცედ დარწმუნებულია, რომ მშვიდობიანი და კულტურული განვითარება ქართველ ხალხისა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ საქართველოს, რუსეთის სახელმწიფოს ამ განუყოფელ ნაწილს და ნებაყოფლობით მასთან შეკავშირებულს, მიენიჭება უფლებასაკუთარ კანონებით მართვა გამგებობისა. ეს კანონები უნდა დადგინდეს იქნას ადგილობრივ წარმომადგენლობითი კრების მიერ, არჩეულს მთელის საქართველოს მცხოვრებთა მიერ საყოველთაო, პირდაპირ, საიდუმლო და თანასწორ ხმის უფლებით.“

**ამირიად, თბილისის გუბერნიის თავდაზნაურობის კრებამ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს ეროვნული ავტონომია მოითხოვა და, იმავდროულად, განსაზღვრა ის ტერიტორია, რომელზეც ავტონომია უნდა გავრცელდებოდა: თბილისის გუბერნია მასში შემავალი ზაქათალის ოკრუგით, ქუთაისის გუბერნია მასში შემავალი სოხუმის ოკრუგითა და ბათუმის ოლქი.**

მართალია, მიღებული დადგენილება ძალზე მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს იმ უზუსტობის შესახებ, რომელიც დოკუმენტის შედგენისას იქნა დაშვებული. საგნებით სწორი და სამართლიანი იყო ის, რომ საქართველოს ტერიტორიად ჩათვალა თბილისის გუბერნია ზაქათალის ოკრუგით, ქუთაისის გუბერნია სოხუმის ოკრუგით და ბათუმის ოლქი. ამავე დროს დოკუმენტში ასახვა ჰპოვა იმხანად დამკვიდრებულმა მცდარმა შეხედულებამ, რომლის მიხედვითაც ყარსის ოლქი (ისტორიული ტოპოგრაფიის მნიშვნელოვანი ნაწილი) საქართველოს ტერიტორიად არ იყო მიჩნეული. მართალია, ყარსის ოლქი ცალკე ადმინისტრაციული ერთეული იყო, მაგრამ იგი საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე არსებობდა, რის გამოც ოლქის ტერიტორია ისევე უნდა მიჩნეულიყო საქართველოს ტერიტორიად, როგორც თბილისის გუბერნია, ქუთაისის გუბერნია და ბათუმის ოლქი. 1905-1906 წლებში არსებული

პოლიტიკური ვითარების გამო საქართველოს ეროვნული ავტონომიის საკითხი რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროში არ განხილულა.

4. ქუთაისის საქალაქო სათათბიროს მიერ არჩეულ ხმოსანთა განსაკუთრებული კომისიის წერილი სახელმწიფო-ბრივი კეთილმოწყობის სრულყოფისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების საკითხების დამუშავებისათვის (1905 წლის ივნისი). ქუთაისის საქალაქო სათათბირომ იმპერატორ ნიკოლაი II-ის 1905 წლის 18 თებერვლის მანიფესტით მინიჭებული უფლებით ისარგებლა და ხმოსმენისაგან განსაკუთრებული კომისიამ შექმნა, რომელსაც სახელმწიფო-ბრივი კეთილმოწყობის სრულყოფისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით წინადადებები უნდა შეეშუშებინა. იმხანად ქუთაისის საქალაქო სათათბიროს თავმჯდომარე და ქალაქის თავი ცნობილი მოღვაწე, დავით ლორთქიფანიძე იყო. კომისიამ ნაყოფიერად იმუშავა და სათათბიროს მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტი წარუდგინა - ქუთაისის საქალაქო სათათბიროს მიერ არჩეულ ხმოსანთა განსაკუთრებული კომისიის წერილი სახელმწიფო-ბრივი კეთილმოწყობის სრულყოფისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების საკითხების დამუშავებისათვის. ეს დოკუმენტი 1905 წლის 15 ივნისს სათათბირომ განიხილა და გარკვეული შესწორებებით დაამტკიცა. ვთავაზობთ დოკუმენტის ქართულ თარგმანს და რუსულ დედანს:

**ქუთაისის საქალაქო სათათბიროს მიერ არჩეულ ხმოსანთა განსაკუთრებული კომისიის წერილი სახელმწიფო-ბრივი კეთილმოწყობის სრულყოფისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების საკითხების დამუშავებისათვის**

განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, რომელმაც მთელი რუსეთი მოიცვა, განსაკუთრებით ძლიერი და სწრაფი განვითარება ჰპოვა ჩვენთან, ქართველ ხალხის განსახლების ტერიტორიაზე. ქუთაისის გუბერნიის ერთ-ერთ ყველაზე კულტურულ მხარეში დაწესებულან, ყოველდღიური განვითარების შედეგად, ეს მოძრაობა, მთელი საქართველოსათვის საერთო მოვლენას წარმოადგენს, სადაც, როგორც ჩანს, არ დარჩენილა არცერთი კუთხე, რომელიც მეზივით ხმადაღდა და ცხარედ არ გაჰყვიროდეს გაბატონებული, ყველასა და ყველაფრისათვის სახისდამკარგველი, პოლიციურ-ბიუროკრატიული რეჟიმის ჩაგვრისაგან ხალხის განთავისუფლებაზე. მოძრაობის ადვილად გავრცელების მიზეზი საზოგადოებრივი ცხოვრების თანამედროვე ადგილობრივ პირობებში უნდა ვეძებოთ, რომელთა გამო პირველივე ხელსაყრელ მომენტში, ბუნებრივია, ამ მოძრაობას მღელვარებით უნდა მიეცვა მთელი ჩვენი მხარე. ეს პირობები მდგომარეობს ადგილობრივი მოსახლეობის თითქმის უუფლებო ყოფაში, საკუთარი კულტურის თავისუფალ განვითარებასა და საკუთარი ეროვნული უფლებებით სარგებლობასთან მიმართებაში, მდგომარეობაში, რომელიც გაუარესებულია ჩვენი გლეხების ძლიერი ეკონომიკური შევიწროვებით, რომელიც, ძირითადად, გამოწვეულია მიწის ნადელების სიმცირითა და მძიმეულებების მიწებზე მაღალი საარენდო გადასახადებით. ეს საკმარისი იყო ქვეყანაში მასობრივ მღელვარების გაჩენისათვის, რომელსაც, თანამედროვე სახელმწიფო სისტემის მართვისა და მოწყობის წყალობით, რუსეთის იმპერიის სხვა ნაწილებთან თანასწორად, არ შეიძლება არ

გაეთავისუფინა, მთელი სიმძიმე და დათრგუნულობა. არსებული წესრიგით უკმაყოფილება, რომელიც უარყოფს ჩვენს ეროვნულ თვითმოყოფადობას ისევე, როგორც რუსეთის იმპერიაში შემავალი ყველა სხვა უცხოელთა ელემენტების ეროვნულ თვითმოყოფადობას, და თავისუფალი პიროვნებისა და მოქალაქის სხვა ელემენტარულ უფლებებს, რომელიც ჩვენ მოსახლეობაში ადრეც ვლინდებოდა ამ თუ იმ ფორმით, თუქცა მას თვალსაჩინო დონისთვის, უკანასკნელის პოლიტიკური ბრძოლისათვის ნაკლებად მომზადებულობის გამო, არასდროს მიუღწევია, თუკი არ ჩავთვლით, რასაკვირველია, 1831-32 წლის პოლიტიკურ შეთქმულებასა და რომელიმე ცნობილი საზოგადოებრივი ჯგუფისა თუ ხალხის ნაწილის ცალკეულ ხანმოკლე აფეთქებებს. ეს გასაგებია: ანომალიები სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ-სამართლებრივ ცხოვრებაში, კავკასიაში რუსული მკვრობელობის მთელი პერიოდის განმავლობაში, ყოველთვის ძალიან უხვად იყო საიმისოდ, რომ მოსახლეობა სრულიად გულგრილი დარჩენილიყო იმის მიმართ, რაც მასთან და მისგან მოშორებით ხდებოდა. მაგრამ როცა ჩვენი ცხოვრების ანომალიებმა თავის აპოგეას მიაღწია, როცა რუსული საზოგადოების მთელმა საუკეთესო ნაწილმა, სხვადასხვა საზოგადოებრივი და კერძო დაწესებულებების, მშრომელი, პროფესიონალური ჯგუფების, ბუნდვითი სიტყვისა და სხვა ყრილობების სახით თავისი მძლავრი ხმა აიძალა, როგორც ერთმა ადამიანმა, არსებული უწესრიგობის წინააღმდეგ, როცა რუსეთის განაპირა მხარეები, რომლებიც ჩვენ ხალხთან თანაბრად განიცდიან მმართველობის ბიუროკრატიული სისტემის ტვირთის სიმძიმეს, ხმადაღდა და დიად ალაპარაკდნენ თავიანთ საჭიროებებზე, მაშინ საქართველოშიც დაიწყო საყოველთაო ადგილობრივი მოძრაობა, აწ უკვე იმდენად ძლიერი, რომ მისი შეჩერება იმ მეთოდებით, რომლებიც აქამდე გამოიყენებოდა მსგავს შემთხვევებში, არავის ძალუქს.

პირველები ჩვენთან გლეხები გამოვიდნენ, რომლებმაც, საარენდო ურთიერთობების დარეგულირებისა და მათი მიწების საარენდო პირობების შემსუბუქების მოთხოვნით, ჯერ მიწისმფლობელ თავდაზნაურებთან გააჩაღეს ბრძოლა. ეს ბრძოლა, რომელიც აქამდე არ შეწყვეტილა, ჩვენთან უაღრესად მშვიდობიანად და დიდი ტაქტით მიმდინარეობს, თუკი მხედველობაში არ მივიღებთ ცალკეულ, ძალადობრივ ქმედებებს გამოვლენების სრულიად კერძო შემთხვევებს, რის გარეშეც არცერთი მასობრივი მოძრაობა არ ჩაივლის. მაგრამ საერთო-რუსული მოძრაობის აღმოცენებასთან ერთად, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა [1905 წლის] 9 იანვარს პეტერბურგში განვითარებული ცნობილი მოვლენების შემდეგ, ჩვენი გლეხობა მის მიერ დაწვეული მშვიდობიანი ბრძოლის ახალ ფაზაში შევიდა: წმინდა აგრარული ხასიათის მოთხოვნების გვერდით მან წინ წამოსწია ადგილობრივი მმართველობის ძირეულ გარდაქმნასთან მიმართებაში მთელი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ყოფის სრული განახლების დაფინებული, გადაუღებელი აუცილებლობა.

რას ითხოვს ხალხი გლეხობის სახით, რომელიც დასახლებულია ქართულ ოლქებში? სრულად უერთდებიან რა რუსი ოპოზიციური ელემენტების ყველა მშვიდობიან სურვილს, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიის გლეხები, იკრიბებიან რა დიდ ყრილობებზე, აყენებენ საკუთარ მოთხოვნებსაც, რომელიც გამოწვეულია მხარის თავისუფლებებით და მიზნად აქვს წმინდა ადგილობრივი საჭიროებების შესაძლო რეალური დაკმაყოფილება. უმნიშვნე-

ოვანესი ხარეჭი, რომელიც ძლიერ აშუხრუკებს საზოგადოებრივ-ეროვნული ცხოვრების სწორ და თავისუფალ განვითარებას, გლეხების ერთსულოვანი, ღრმა რწმენით არის ის, რომ „კანონები იწერება ერთ ადგილას ვიღაც ჩინო-ვნიკების მიერ, რომლებიც მკირდენ ან საერთოდ არ არიან ჩახედილი ჩვენი ცხოვრების პირობებში.“ ამ სიტყვების აზრი ცხადია: ხალხი საკუთარი თავის მართვის სურვილს გამოთქვამს, საკუთარი კანონებით, რომელსაც თავად ხალხი გამოსცემს, თავიანთი, თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით. საუკეთესო მონობით გათანაღობ, ეს ხალხი, როგორც ყრილობების მხავალი-რიცხოვანი დადგენილების მიხედვით გაირკვა, ეძებს თავისუფლებას, მაგრამ არა - პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, როგორც ამას ვარაუდობენ ამაჟამად გაბატონებული უსამართლობის მომხრეები. მაგრამ თავისუფლების განხორციელებსათვის საუკეთესო საშუალებად, გლეხების წარმოდგენით, საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთი ფორმის დამკვიდრებაა, რომლის პირობებშიც ხალხს ექნებოდა საკუთარი სასამართლო, საკუთარი სკოლა, თავისუფალი და დამოუკიდებელი ბუნდვითი სიტყვა და, საერთოდ, თვითონ ვინაქარავდეს საკუთარ საქმეებს ინტერესთა იმ ფარგლებში, რომელიც არ ეწინააღმდეგება სახელმწიფო ხელისუფლების ერთიანობის იდეას. მხარს უჭერს რა, ამ სახით, ქვეყნის ავტონომიურ მოწყობას, ქართველ გლეხობას არსად, არცერთ შემთხვევაში არ გამოუვლენია რაიმე-ნაირი სეპარატისტული ლტოლვა სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხებში. გლეხობა დარწმუნებული იყო იმაში, რომ ასეთი ლტოლვა ვერ განხორციელდებოდა და უსარგებლოც კია.

გლეხობის კვალდაკვალ ადგილობრივი ცხოვრების ფართო თვითმმართველობის პრინციპებზე დაყრდნობით მოწყობის აუცილებლობაზე მოუთხიან თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავდაზნაურებმა. ყოველად უქვეშემოდომილეს ადრესებში, რომლებიც ქართველმა თავდაზნაურობამ თავის საგანგებო კრებებზე მიიღო, ნათლად და კატეგორიულად არის ხაზგასმული ღრმა რწმენა იმისა, რომ „ერთადერთი სწორი საშუალება ქართველი ხალხის დამშვიდებისა და მისი მშვიდობიანი, კულტურული განვითარებისა არის საქართველოსთვის, რომელიც შედგება თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებისგან, ბათუმის ოლქისაგან, სოხუმისა და ზაქათალის ოკრუგებისაგან, ადგილობრივი წარმომადგენლობითი კრების მიერ დადგენილი კანონებით მართვის უფლების მინიჭება. ეს კრება საყოველთაო, პირდაპირი, ფარული და მთელი მოსახლეობისათვის თანასწორი ხმის მიცემით იქნება არჩეული.

ამირიად, ორი ფენა, რომელიც მოსახლეობის გაბატონებულ უმრავლესობას შეადგენს, ქვეყნის პოლიტიკური მოწყობის იმ ფორმაზე შეჩერდა, რომელიც, ჩვენი შეხედულებით, ერთადერთია, რომელსაც შეუძლია სასურველი, ერთნაირი განვითარების თვალსაზრისით მყარი და თავისუფალი, სამართლებრივი წესრიგი შექმნას, რომელიც საგნებით პასუხობს ხალხის სული-სკეუთასა და შეგნებას. ჩვენი ხალხის მიერ მიღებული პოლიტიკური ფორმულა არ არის ადგილობრივი წარმომადგენლობის ნაზრევი, არამედ კულტურულ ვეროპულ სახელმწიფოებში საზოგადო ცხოვრების ფორმების ისტორიული განვითარების პროდუქტია, რაც, არ შეიძლება უპირობოდ, მხედველობაში მიღებულ არ იქნას ჩვენი სახელმწიფო-ბრივი ცხოვრების გარდაქმნის თაობაზე საკითხების განხილვისას.

**(გაგრძელდება იქნება)**  
**ილია ჭავჭავაძე**  
(საქართველოს ასალი ისტორიკოსი (1801-1918) წიგნი 3 გვ: 403-407)

# დომენტი ქარჩავა



დომენტი სამონის ძე ქარჩავა დაიბადა 1900 წლის 8 მაისს, ოზურგეთის რაიონის სოფელ შრომაში (ძველი მიქელ-გაბრიელი). დომენტის მშობლები და სანათესაო, კარგი მოძღვრელები იყვნენ.

დომენტი ქარჩავამ ხრიალეთის ოთხწლიანი სასწავლებელი დაამთავრა. სწავლის გაგრძელება ოჯახური მდგომარეობის გამო ვერ შეძლო. 1921-1922 წლებში მსახურობდა ჯარში, ხოლო 1924 წლიდან საცხოვრებლად გადავიდა სოფელ შემოქმედში. მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე, ბრიგადირად, შემდეგ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

1932 წლიდან დომენტი ქარჩავა ვარლამ სიმონიშვილის გუნდის წევრი იყო, ხოლო 1938 წლიდან ვარლამის მოადგილედ ითვლებოდა. მას თვლიდნენ გურული სიმღერების კარგ მცოდნედ და კარგ ორგანიზატორად. დომენტი ქარჩავა ამ გუნდში 1952 წლამდე, მის გაუქმებამდე მღეროდა, ხოლო შემდეგ რაიონის კულტურის სახლთან არსებულ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში განაგრძო მოღვაწეობა.

დომენტი ქარჩავა წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა გუნდებს მშობლიურ შემოქმედში, ბახვში, ნატანებში, ლაითურში, ნასაკარაში; მოსწავლეთა გუნდებს — შემოქმედის, მეღვინეებისა და სხვა სკოლებში, კარგად უკრავდა ჩონგურზე, თავადაც თხზავდა საჩონგურო სიმღერებს.

მასსოვს, ერთხელ ბატონმა დომენტიმ მოთხრა: — წამოდი, რაღაც უნდა

მოგასმენინო და გასოცარი ის იყო, რომ ჩონგურზე დაუკრა „ხასანბეგურა“, რაც არავის არ უცდია.

უკვე ასაკოვანი ლოტბარი სიხარულით შეეგება ანსამბლ „დილას“ შექმნის იდეას. ანსამბლმა ვ. სიმონიშვილის აღზრდილები გააერთიანა. ესენი იყვნენ: თავად დომენტი ქარჩავა, შერმადინ ჭკუასელი (ბანი), ვარლამ ვაშალომიძე (წყება), ვიტო არიშიძე (ბანი), ილარიონ სიხარულიძე (წყება), აპოლონ ჩაველიშვილი (ბანი), გედევან მუყანაძე (კრიმანჭული), ტელე იობიშვილი (ბანი), ნეერო ოსეფაიშვილი (კრიმანჭული). დიდოსტატი მასწავლებლის ვარლამ სიმონიშვილის სკოლაგამოვლილებს ენაებოდათ ძველი ვარიანტების დაკარგვა, მათი ერთად შეკრების მთავარი მიზანი, სწორედ ამ ვარიანტების აღდგენა იყო. „დილამ“ 50-ზე მეტი სიმღერა შეასრულა. მათ შორისაა: „მასპინძელსა მხიარულსა“, „მადლობლი“, „პატარა საყვარელი“, „ჩვენ მშვიდობა“, „დილა“, „ალიფაშა“, „შვიდკაცა“, „ბურთის გამარჯვება“, „ძველი აბადელი“, „კალოს ხელხვაი“, „სუფრის ხელხვაი“, „შავი შაშვი“, „ალავერდი“, „მავეულო“, „ხას-

მან დომენტი ქარჩავას, შერმადინ ჭკუასელისა და ილარიონ სიხარულიძის ტრიოს შესრულებით არაერთი ნიმუში ჩაიწერა. ეს ტრიო განსაკუთრებული ოსტატობით ასრულებდა ურთულეს გურულ სიმღერებს. ანსამბლ „დილას“ ჩანაწერები ინახება თბილისის კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის არქივში.

1968 წელს ქართული ხალხური შემოქმედების დიდი მოამაგის გიორგი სალუქვაძის თაოსნობით, ოზურგეთში ხალხური სიმღერების აღმდგენი და შემსწავლელი სკოლა გაიხსნა და ქარჩავა სიმღერის პედაგოგად მიიწვიეს. მას დიდი წვლილი მიუძღვის ახალგაზრდა ლოტბარების აღზრდის და დახელოვნების საქმეში. შედეგად არ დაყოვნა — მის მიერ აღზრდილი მოსწავლეები დღეს საუკეთესო ლოტბარები და ხელოვანი ხალხია.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ქარჩავა ხელმძღვანელობდა ოზურგეთის კულტურის სახლის ვოკალურ ჯგუფს „გურია“. 1977 წელს, ამ ჯგუფთან ერთად თბილისში ჩავიდა და მეტეხის ტაძართან გამართული კონცერტი დაუვიწყარ შთაბეჭდი-



ანსამბლი „დილა“

ანბეგურა“, „იერიში“, „მწვანესა და უქუდოსა“ და სხვ. საქართველოს ტელევიზიის საზოგადოებრივი მაუწყებლის ოქროს ფონდში დაცულია „დილას“ მიერ შესრულებული სიმღერების ნაწილი. ანსამბლის ბიოგრაფიაში იყო მრავალი წარმატებული კონცერტი საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ. „დილას“ მიმართ დიდ ინტერესს იჩენდნენ პროფესიონალი მუსიკოსები. ცნობილი ფოლკ-ლორისტი მინდია უორდანიანი ზედინჯდ რამდენიმე წელი ჩადიოდა გურიაში, საგანგებოდ, ანსამბლის ჩანაწერად.

ლუბად დარჩა მსმენელს. საღამოზე „გურიაში“ ოთხი სიმღერა შეასრულა: „ხასანბეგურა“, „შვიდკაცა“, „ნადური“ და „გაზაფხული“. ანსამბლი ჩაიწერეს რადიოშიც, ჩანაწერები ინახება საზოგადოებრივი მაუწყებლის ოქროს ფონდში.

დომენტი ქარჩავა გარდაიცვალა 1978 წლის 18 სექტემბერს.

მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება ხელოვანთა და განსაკუთრებით მის აღზრდილთა შორის.

**ტრისტან სიხარულიძე**, ხელოვნების ქურუმი

# ცნობილი ჟურნალისტი ეთერ ქაღვიშვილი სქიმ-მონაზვნად აღიკვეცა



ხარების ბრწყინვალე დღესასწაულზე, რუის-ურბნისის ეპარქიაში, წმ. კვირიკესა და ივლიტას სახელობის ტაძარში, მროველურბნელი მიტროპოლიტი იობის მიერ, სქიმ-მონაზვნად აღკვეცილი იქნა ცნობილი ჟურნალისტი, ათეულობით წიგნის ავტორი **ეთერ ქაღვიშვილი**, აწ უკვე **ეკატერინე** წოდებული. უფალმა დალოცოს და მისი ლოცვა შეგვაწიოს!

# „მუზეუმი აცოცხლებს წარსულს“



ოზურგეთის ისტორიული მუზეუმი 1936 წლის 1 აპრილს დაფუძნდა და მას დაარსებიდან 86 წელი შეუსრულდა. ეს დღე მუზეუმში მოკრძალებულად აღინიშნა, მოეწყო მანანა ლომაძის წიგნის „მუზეუმი აცოცხლებს წარსულს“ პრეზენტაცია, რომელიც მან მუზეუმის 80 წლის იუბილეს მიუძღვნა. მუზეუმის წარსულსა და თანამედროვეებაზე ისაუბრა სამუზეუმო გაერთიანების დირექტორმა — **გოგა ტრაპაიძემ**. წიგნის შესახებ ისაუბრა მანანა ლომაძემ. სიტყვით გამოვიდნენ ლინხაურის ექიმე თაყაიშვილის მუზეუმის გამგე **რუსლან ურუმაძე**, დეაბზუს ეთნოგრაფიული მუზეუმის

გამგე **ნინო ჯაველიძე**. მუზეუმელებმა გაიხსენეს ის გზა, რაც დღემდე გამოიარეს თავისი სირთულეებითა და წარმატებებით. — იყო მუზეუმელი — ეს დიდი პასუხისმგებლობაა, რადგანაც ვაბარია ის საგანძური, რომლებიც ჩვენმა წინაპრებმა დაგვიტოვეს. ამ ეტაპზე გვაქვს გარემონტებული, კეთილმოწყობილი შენობა, მაგრამ საგამოფენო დარბაზის პროექტის განხორციელება დღემდე ვერ მოხერხდა. იმედი გვაქვს, რომ უახლეს ხანში გვექნება იმის საშუალება, რომ მივიღოთ დამთავალიერებელი და მუზეუმმა მოახერხოს სრულფასოვანი მუშაობა — განაცხადა ვაზეთ „ალიონთან“ გოგა ტრაპაიძემ.

# ოზურგეთელი მოჭიდავეების წარმატება



დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 17 წლამდელთა შორის, რომელსაც ქალაქ ხაშური მასპინძლობდა. ჩემპიონატში მონაწილეობა მიი-

ღეს და წარმატებით იასპარეზეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ - გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებულმა ჭიდაობის სექციის სპორტსმენებმა.

ჩემპიონის ტიტული და შინ ოქროს მედალი **ავთანდილ მამალაძემ** წამოიღო (60 კგ.); ვერცხლი და მეორე საპრიზო ადგილი **ლუკა ჯანელიძემ** (51 კგ) **საბა მასარაძემ** (71 კგ) აიღეს; ბრინჯაოს კი **ლუკა კილაძე** (45 კგ), **ზურა სადრაძე** (55 კგ) და **გიორგი ბერიძე** (48 კგ) დაუფლდნენ; ასევე ჩემპიონატთან გუნდური მესამე ადგილი ოზურგეთს ერგო! მოჭიდავეები ჩემპიონატისთვის მოამზადეს: მშებმა ზურაბიანებმა, კობა ბალაიონებმა, გურამ მაჭარაშვილებმა, კახაბერ აბაშიძემ, ლაშა გუჯაბიძემ, ფრიდონ და გურამ აბაშიძეებმა, ლაშა ქაღვიშვილმა, ლაშა დოლიძემ.

# 7 დღის ამინდის პროგნოზი

<p><b>მზი, ღრუბელი</b> +5/+25 11 აპრილი ორშაბათი</p>	<p><b>წვიმა</b> +1/+6 12 აპრილი სამშაბათი</p>	<p><b>წვიმა</b> +1/+8 13 აპრილი ოთხშაბათი</p>	<p><b>წვიმა</b> +2/+7 14 აპრილი ხუთშაბათი</p>	<p><b>მზი, ღრუბელი</b> +3/+11 15 აპრილი პარასკევი</p>	<p><b>მზი, ღრუბელი</b> +6/+14 16 აპრილი შაბათი</p>	<p><b>მზი, ღრუბელი</b> +7/+15 17 აპრილი კვირა</p>
--	---	---	---	---	--	---